პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი, 23 მარტი 1936 წ. № 63 (4527)

ორდენოსანი საქართველოს მოწინავე, სამაყო, სახელოვან ორდენოსან ადამიანებს—ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოწინავე ადამიანთა დაჯილდოვება

საქართველოს სს რესპუბლიკის მოწინავე მუშათა და მუშა-ქალთა, კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა, ინჟინერთა და აგრონომთა, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელთა, პარტიულ-საბჭოთა მუშაკების, საქართველოს სს რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების მეთაურთა და წითელარმიელთა დაჯილდოვების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

...საქართველომ თავის ისტორიაში ჩასწერა საკმაოდ ბევრი ფურცელი ხალხთა მასების სასახელო ბრძოლისა როგორც გარეშე, ისე შინაურ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამას ნათლად მოწმობს მემამულეთა და თავად-აზნაურთა წინააღმდეგ გლეხობის რევოლუციური მოძრაობანი...

ხამი წლის განმავლობაში ბატონობდნენ ქართველი მენშევიკები, მაგრამ გლეხები ისევ უმიწოდ დარჩნენ, მემამულეები კი დარჩნენ თავიანთ მამაპაპეულ ადგილებზე. მენშევიკების დროს მუშები კაპიტალისტების ისეთსავე მონობაში დარჩნენ, როგორც წინათ, რევოლუციამდე. საქართველოს სამეურნეო და კულტურულ აღმავლობაზე მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მენშევიკთა ბატონობის მიწურულში საქართველო სამეურნეო კატასტროფამდე და კულტურულ დაქვეითებამდე მივიდა...

...რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლუციის მხრივ მოსულმა დახმარებამ ხელი შეუწყო მენშევიკთა დამხობას და ბოლო მოუღო საქართველოში მათი ბატონობის კოშმარულ პერიოდს...

ამ დროიდან დაიწყო სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის განუწყვეტელი აღმავლობა საქართველოში, დაიწყო მუშათა და გლეხთა მასების მატერიალური კეთილდღეობის ნამდვილი ზრდა, დაიწყო ქვეყნის სოციალისტურად გადაკეთება...

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში უკვე ცოტა არ გაკეთებულა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რის მიხედვითაც მხოლოდ სუსტი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დიად მომავალზე. საქართველო — ეს მსოფლიოს ერთერთი უმდიდრესი კუთხეა, უხვად დაჯილდოვებული ბუნებრივი სიმდიდრეებით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგი მდიდარია ისეთი ადამიანებით, რომელთა ნიჭიც ბრწყინავს საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირში.

ვ. მოლოტოვი

○ ○ ○

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასთან ერთად საბჭოთა სოციალისტურმა საქართველომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლენინური ხელმძღვანელობის, საქართველოს კომუნისტებისა და მათი ხელმძღვანელების დაძაბული მუშაობის მეოხებით — შესძლო, მიტადრე უკანასკნელ წლებში, მიეღწია განსაკუთრებული წარმატებებისათვის სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. მილიონობით მშრომელებმა, რომელნიც განთავისუფლდნენ ექსპლოატაციისაგან, რათა სიხარულით იშრომონ თავისი საკუთარი კეთილდღეობისთვის, უძნელეს პირობებში დაგვანახვეს განსაკუთრებული მიღწევები.

კ. ვოროშილოვი



საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 15 წლისთავთან დაკავშირებით — სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაჯილდოვებულ იქნან:

ლენინის ორდენით:

1. ჰეჰინაძე დავით ალექსის-ძე — ტფილისის სარემონტო ქარხნის მჭედელი.
2. ხამხარაძე ვასილ ვლადიმერის-ძე — ჭიათურის სტალინის სახელობის მარგანეცის მაღაროს მნგრეველი.
3. გოგოლიძე-დევაძე ელენე მიხეილის-ასული—ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „განათლების" თავმჯდომარე.
4. ბარბაქაძე პლატონ ნარიმანის-ძე—ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
5. შენგელია ლუბა მაქსიმეს-ასული—ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.
6. ბერიძე ვარლამ გრიგოლის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს უფროსი.
7. კუხალეიშვილი სევერიან ილარიონის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის მევენახეობა-მეხილეობის ტრესტის დირექტორი.
8. ცომაია ალექსანდრე პავლეს-ძე—გურიის საბჭოთა მეურნეობა „III ინტერნაციონალის" დირექტორი.
9. ტაბიძე გალაქტიონ ვასილის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო პოეტი.
10. კაკალია ამბერკი მიხეილის-ძე—საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე.
11. არუთინოვი გრიგოლ არტემის-ძე—საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი.
12. აგრბა ალექსი სერგეის-ძე—საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.
13. ჯიქია ვლადიმერ გაბრიელის-ძე—რიონჰესის ყოფილი უფროსი.
14. ლევანდოვსკი მიხეილ კარლის-ძე—ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი.

წითელი დროშის ორდენით:

1. ქუთათელაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე—ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწე.
2. ბუაჩიძე თევდორე მოსეს-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის მეთაური-კომისარი.
3. ალლაძე ლეონიდ მიხეილის-ძე — სტალინის სახელობის სამთო მსროლელთა დივიზიის მეთაური.
4. უგულავა ონიფანტე ლევანის-ძე ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე.

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1. მგელაძე ნიკოლოზ ვასილის-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტფილისის დეპოს მემანქანე.
2. როსტომაშვილი თამარ გაბრიელის-ასული—ტფილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-ქალი.
3. დოლიძე ილია ერასტის-ძე—მახარაძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
4. ნიჟარაძე დურსუნ ზაბითის-ძე — აჭარის ასსრ ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
5. საჯაია გური ნიკოლოზის-ძე — ზუგდიდის რაიონის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
6. კაპანაძე ერმოლოზ ბარნაბის-ძე—ქუთაისის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
7. გეგეჭკორი გრიგოლ გიორგის-ძე—კოლხიდმშენის მთავარი ინჟინერი.
8. კორსაველი თევდორე ალექსანდრეს-ძე—საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.
9. დარახველიძე ვასილ გედევანის-ძე—საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სამრეწვ.—სატრანს. განყ. გამგე.
10. ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის-ძე—გეოლოგი.
11. იაშვილი პაოლო ჯიბოს-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის პოეტი.
12. მაშაშვილი ალიო ანდრიას-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის პოეტი.
13. ხორავა აკაკი ალექსის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი.
14. ვასაძე აკაკი ალექსის-ძე—რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
15. ხულაბერიძე ვარლამ ონისიმეს-ძე—ოზურგეთის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.
16. მათიკაშვილი შალვა სპირიდონის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი.
17. ნიორაძე მიხეილ ტრიფონის-ძე—ტფილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.
18. გობეჩია მიხეილ ალექსის-ძე — საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი.
19. ტაუტიევი აბდულ-ბექირ ჰასანის-ძე—საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.
20. ჯუჯუოევი ივანე პეტრეს-ძე—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.
21. პლიევა მართა დაცკოს-ასული—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.
22. თვალჭრელიძე ალექსანდრე ანტონის-ძე—მინერალური ნედლეულის პროფესორი.
23. ჯავახიშვილი მიხეილ საბას-ძე—საქართველოს სსრ მწერალი.
24. ვაჩნაძე ნატალია გიორგის-ასული—საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი.
25. ჭავჭავაძე თამარ ირაკლის-ასული—საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. ლეხელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მეთაური და სამხედრო კომისარი.
2. გველესიანი შამია ალექსანდრეს-ძე—სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეულის სკოლის კურსანტი.
3. მოხიძე ალექსანდრე პავლეს-ძე — ცხენოსანი ლეგიონის მეთაური.
4. ჟორდანია ოლღა ივანეს-ასული—პილოტი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით:

1. მჭედლიშვილი მარიამ მაქსიმეს ასული—ტფილისის მაუდის ფაბრიკის მქსოველი.
2. ჯუმბურიძე ქეთევან ივანეს ასული—ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მქსოველი.
3. სეფერთელაძე დავით არტემის-ძე—ტფილისის ტრამვაის სახელოსნოების ზეინკალი.
4. ბუნიათიანი კარაპეტ ალექსანდრეს-ძე — სტალინის სახელობის ფეხსაცმელის ფაბრიკის გადამჭრელი.
5. ზაკომოლდინი ალექსი პეტრეს-ძე —26 კომისრის სახელობის ქარხნის ხარატი.
6. სტროგოცკაია ეკატერინე კონსტანტინეს-ასული — მაუდის ფაბრიკის მქსოველი.
7. გორგიძე გრიგოლ ნიკოლოზის-ძე —ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების მნგრეველი.
8. აშხაცავა დავით ბორისის-ძე — ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების ელექტრომავლის მემანქანე.
9. ფაღავა მამელ ემინის-ძე—ბათომის ნავთსახდელი ქარხნის ოპერატორი.
10. კუხიაშვილი ელისაბედ პეტრეს ასული—გორის საკონსერვო ქარხნის მუშა.
11. სალაძე ვლადიმერ ერმალოზის-ძე—ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მღნობელი.
12. ხოხუა სოფიო არჩიმის-ასული—ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი ქალი.
13. ხალიაპინი ივანე პეტრეს-ძე — ტფილისის სტალინის სახელობის ვაგონების სარემონტო ქარხნის ზეინკალი.
14. ბეჟუაშვილი მიხეილ ზაქარიას-ძე—წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მუშა.
15. კიტია არონ ოქროპირის-ძე — კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის მენიჩბელი.
16. გურგენიძე აიშე იუსუფის ასული—აჭარის ასსრ ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.
17. აბალაკი კონსტანტინე პაველის-ძე —გორის რაიონის ბერბუკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
18. კუჭელი ერასტ გიორგის-ძე — აბაშის-მაჰმუდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
19. კახუმოვი ჰაფიზ ასან-ოღლი — ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობა „ზარბანის" ბრიგადირი.
20. კიკილაშვილი ფორე ყარამანის-ძე—სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" თავმჯდომარე.
21. ქარდავა ცაცუ ანტონის ასული—აფხაზეთის ასსრ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.
22. ცინცაძე მარიამ ისაკის ასული—მახარაძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.
23. აოვაზიანი ელიშ ყაზარის-ძე — ახალქალაქის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სარძეოსასაქონლო ფერმის გამგე.
24. ბარციცი დიმიტრი ეშუგის-ძე—აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობა „ოქომჩირის" თავმჯდომარე.
25. გაბრიჩიძე შალვა კონსტანტინეს-ძე - ინჟინერი, ტყვარჩელს რაიონგრესის მშენებლობის უფროსი.
26. გვარჯალაძე გიორგი სილოვანის-ძე—ინჟინერი, ტფილისის თბოცენტრალის მშენებლობის უფროსი.
27. ალავიძე გიორგი არტემის-ძე — ლიხი-მანდარინის ტრესტის უფროსი აგრონომი.
28. ნადირაძე ელისაბედ მიხეილის ასული—ინჟინერ-მეტალურგი, ქარხანა „ცენტროლიტის" ტექნიკური განყოფილების უფროსი.
29. ვაშაძე სოფიო იოსების-ასული—ტფილისის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი.
30. ოლინი არნოლდ პეტრეს-ძე — ამიერ-კავკასიის ფედერაციის წარმომადგენელი სსრ კავშირის მთავრობასთან.
31. ჭრელაშვილი სოფიო ნიკოლოზის ასული—ქიმიის დოცენტი.
32. ზავრიევი კირიაკ სასონის-ძე—ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო ინსტიტუტის პროფესორი.
33. ყიფშიძე ნიკოლოზ ანდრიას-ძე —პროფესორი, ტფილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.
34. თოიძე მოსე ივანეს-ძე—მხატვარი.
35. ახვლედიანი ელენე დიმიტრის ასული—მხატვარი.
36. ნიკოლაძე იაკობ ივანეს-ძე საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მოქანდაკე.
37. გოცირიძე ნიკოლოზ სიმონის-ძე საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი.
38. ხუსკივაძე ალექსანდრა კონსტანტინეს-ასული — მათემატიკის მასწავლებელი.
39. გვანცელაძე ეთერ დიმიტრის ასული — ფრიადოსანი მოწაფე.
40. თოხელიანი დიმიტრი მელიტონის-ძე—სპორტის ოსტატი.
41. გოკიელი ელენე სტეფანეს ასული რეკორდსმენი რბენაში.
42. ჰანკიტაძე შალვა ლავრენტის-ძე—მფრინავი, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ავიორაზმის უფროსი.
43. გაწერელია ლავრენტი ილარიონის-ძე ფოთის ნავსადგურის ლოცმანი.
44. მიროტაძე პლატონ იოსების-ძე ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი.
45. ბაქრაძე იაკიმ ტაგუს-ძე—სტალინის სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის სამთო-მსროლელთა ლეგიონის მეთაური-კომისარი.
46. ბაჟელიძე ასლან იუსუფის-ძე — მეთაური-პოლიტხელი.
47. ლომოური დავით ალექსანდრეს-ძე სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიის წითელარმიელი.
48. მეუნარგია დავით ალექსის-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის ასეულის მეთაური.
49. ქუთათელაძე გიორგი მიხეილის-ძე—ა.-კ. ცაკის სახელობის კავკასიის დივიზიის კავშირგაბმულობის ათეულის მეთაური.
50. რცხილაძე გიორგი ვასილის-ძე —ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის ზემატური უმცროსი მეთაური.
51. სიხარულიძე სერგი ილიას-ძე —ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის განყოფილების მეთაური.
52. კაკიაშვილი გრიგოლ ალექსანდრეს-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის ცხენოსანი ლეგიონის წითელარმიელი.
53. გეწაძე ვასილ სილოვანის-ძე ა.-კ. ცაკის სახელობის კავკასიის ცხენოსანი დივიზიის რადიოგანყოფილების მეთაური.
54. აბბა საიდ სეტის-ძე— სტალინის სახელობის სამთო მსროლელთა დივიზიის განსაკუთრებულ ცხენოსანთა ესკადრონის მეთაური.
55. ანთელიძე იოსებ იასონის-ძე —ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელთა დივიზიის უმცროსი მეთაური.
56. ხარებოვი ზელიმხან არჩენის-ძე —სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიის ასეულის მეთაური.
57. გირკვლიანი ისმაილ ბესარიონის-ძე სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა ასეულის მეთაური.
58. გაფრინდაშვილი ქრისტეფორე ასლანის-ძე — სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიის ბატარეის მეთაური.
59. თავაძე მოსე სერგის-ძე სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიის ასეულის პოლიტხელი.
60. გოგიჩაიშვილი მალხაზ ირაკლის-ძე—სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიის სასწავლო ასეულის მეთაური.
61. კორკელია ალფიოზ ონისიმეს-ძე სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიის ათეულის მეთაური.
62. სიმონიშვილი დიმიტრი სტეფანეს-ძე—სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიის ათეულის მეთაურის თანაშემწე.
63. მელიქოვი დავით რაფაელის-ძე—სტალინის სახელობის ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის ათეულის მეთაური.
64. ხახუაძე კონსტანტინე იასონის-ძე —სტალინის სახელობის სამთო-მსროლელი დივიზიის ათასეულის სკოლის უფროსი.
65. ელიაშვილი სერგი ალექსის-ძე— ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის კურსანტი.
66. ხაჩიძე ნიკოლოზ გიორგის-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ასეულის მეთაური.
67. ჯანჯღარაძე ილია ფილიპეს-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ოცეულის მეთაური.
68. მელქაძე ევსევი ლუკას-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ასეულის მეთაური.
69. გიორგობიანი ავქსენტი დომენტის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ბატარეის მეთაური.
70. ხუბულური ვლადიმერ დავითის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ცხენოსანი ესკადრონის მეთაური.
71. კუპავა გალაქტიონ პავლეს-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ასეულის მეთაური.
72. გუგეშაშვილი კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ოცეულის მეთაური.
73. შალუტაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის კურსანტი.
74. შუბითიძე დავით დიმიტრის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის სკოლის მამასახლისი.
75. მაზმანიანი არისტაკ თათევოსის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ათეულის მეთაური.
76. ბოგვერაძე რაჟდენ ივანეს-ძე — ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის ქვემეხის მეთაური.
77. ძიძიგური ბორის გრიგოლის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის წითელარმიელი.
78. სიმონიშვილი სიმონ მიხეილის-ძე—ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის კურსანტი.
79. სინიუკოვი მიტროფანე იობის-ძე—კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის მესანგრე ასეულის მეთაური.
80. შენგელია არისტარხ მალაქიას-ძე—კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი ცალკე მესანგრეთა ასეულის კომისარი.
81. კრავცოვი ალექსი ექვთიმეს-ძე—კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის წითელარმიელი.
82. ლევინი პეტრე ივანესძე— კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის საარტილერიო ლეგიონის უმცროსი მეთაური.
83. რომანჩენკო ივანე ნიკოლოზის-ძე — კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის ოცეულის მეთაური.
84. ხვინარენკო ვასილ გაბრიელის-ძე — კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის ასეულის უფროსი.
85. ზოლოტკო ტროფიმე დანიელის-ძე — კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის ოცეულის მეთაური.
86. რიშტუკი ივანე ვლადიმერის-ძე —კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის წითელარმიელი.
87. ზერეზოვოი თევდორე მინას-ძე —კავკასიის მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიის უმცროსი მეთაური.
88. ახვლედიანი ევტიხი შარდონის-ძე — კავკასიის ამიერ-კავკასიის ცაკის სახელობის ცხენოსანი დივიზიის ტყვიასმფრქვეველთა ესკადრონის წითელარმიელი.
89. ჩუპრინი რომან პანფილეს-ძე — კავკასიის ცხენოსანი ამიერ-კავკასიის ცაკის სახელობის დივიზიის ოცეულის მეთაური.
90. მნაცაკანოვი სუმბატ ლეონის-ძე —კავკასიის ცხენოსანი ამიერ-კავკასიის ცაკის სახელობის ცხენოსან-საარტილერიო დივიზიონის წითელარმიელი.
91. ყალამზაროვი პავლე ტროფიმეს-ძე—კავკასიის ცხენოსანი ამიერ-კავკასიის ცაკის სახელობის დივიზიის ცხენოსან საარტილერიო დივიზიონის სამხედრო კვების უფროსი.
92. ემეცი ნიკოლოზ თევდორეს-ძე—კავკასიის ცხენოსანი ამიერ-კავკასიის ცაკის სახელობის დივიზიის წითელარმიელი.
93. კურბატოვი ივანე ნიკოლოზის-ძე —კავკასიის ცხენოსანი ამიერ-კავკასიის ცაკის სახელობის დივიზიის კავშირგაბმულობის ესკადრონის ოცეულის მეთაურის თანაშემწე.
94. მეგრელიძე ილია ისმაილის-ძე—აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარი.
95. კილაძე მამია ჯაბულის-ძე—საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი.
96. გვახალია იუსტინე კონსტანტინეს-ძე საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი.
97. თვალჭრელიძე გიორგი გრიგოლის-ძე—საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის ქალაქის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი.
98. აზარაშვილი პავლე ბაგრატის-ძე —საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი.
99. არუთინოვი სერგო არტემის-ძე— საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი—ი. უნშლიხტი

მოსკოვი, კრემლი. 1936 წ. 22 მარტი.

◇ ◇ ◇

კავკასიის მე-3 სამთო მსროლელი დივიზიის, კავკასიის სამთო მსროლელი საქართველოს სსრ ცაკის სახელობის წითელდროშოვანი დივიზიისა და ქართული ცხენოსანი ლეგიონის დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საბჭოთა რესპუბლიკის მტრებთან ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გმირული საბრძოლო მუშაობისათვის საქართველოში ხელისუფლების განმტკიცებისა და აღმშენებლობისთვის, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მიღწევებისთვის — დაჯილდოვებულ იქნან:

წითელი დროშის ორდენით:

კავკასიის მე-3 სამთო-მსროლელი დივიზია.

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1) კავკასიის პირველი სამთო—მსროლელი საქართველოს სსრ ცაკის სახელობის წითელდროშოვანი დივიზია და
2) ქართული ცხენოსანი ლეგიონი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ი. უნშლიხტი.

მოსკოვი, კრემლი. 1936 წლის 22 მარტი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მიღება კრემლში

ალექსანდრა ხუსკივაძის სიტყვა

ტფილისის არასრული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ლაპარაკობს ქართულად და თავის სიტყვას თარგმნის რუსულად

...ლება, რომელიც ამჟამად აერთიანებს 85 ათას ბავშვს. მოსახლეობის 91 პროცენტი უკვე წერა-კითხვის მცოდნეა. ქართული ენა, რომელსაც ცარიზმი სდევნიდა, ამჟამად გადაქცეულია საქართველოს მშრომელთა კულტურული აღორძინების იარაღად. საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობა, ლენინურ-სტალინური... მტკიცედ, მთელი სულით და გულით გისურვებთ თქვენ და თქვენს თანამებრძოლთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატისა და ჩაგრულ ხალხთა ბელადს, ჩვენს ბრძენს, საყვარელ დიდ სტალინს! (ყველანი ფეხზე დგებიან, ტაში, „ვაშას" ძახილი).

ამხ. მამია გველესიანის სიტყვა

(სტალინის სახელობის პირველი ქართული მსროლელი დივიზიის მესანგრეთა ცალკე ასეულის სკოლის კურსანტი. ლაპარაკობს ქართულად, სიტყვა ითარგმნება რუსულ ენაზე).

წითელი არმიის ქართული ნაწილების წითელარმიელთა მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სახელით მხურვალე საბრძოლო სალამს უძღვნი ამხანაგ სტალინს და მთავრობას! (მქუხარე ტაში, ძახილი „ურა", „ვაშა" სტალინს).

...ყველა დარგში და ასეთი სტახანოველი ჩვენს ასეულში 30 კაცია.

მე შემიძლია დავასახელო ამხანაგი სიხარულიძე, მეორე დივიზიის № საკავშირო დანაყოფის წითელარმიელი, რომელიც თავის ამხანაგ გაგოშიძესთან ერთად ნაცვ... ლოვს! (ოვაცია და მისალმებანი ამხანაგი ვოროშილოვის პატივსაცემად).

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელს, ჩვენს მშობლიურ სტალინს! (ხანგრძლივი ოვაცია და მისალმებანი ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).

ამხ. პაოლო იაშვილის სიტყვა

საქართველოს [illegible] კავშირის [illegible] ლაპარაკობს რუსულად.

...მწერლების შემოქმედება, ქართულად თარგმნილი, ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას. მსოფლიო და რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებებმა, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე გადაითარგმნა, გაამდიდრეს ქართველი ხალხი. ჩვენი პოეტები უდიდეს ენერგიას ხარჯავენ რუსეთის დიდი ნაციონალური პოეტის ალექსანდრე პუშკინის ნაწარმოებთა გადასათარგმნად. 1937 წელს, პუშკინის სიკვდილის ასი წლისთავზე, ჩვენ თა... ჩვენ ჩვენი საერთო ლექსი, მიძღვნილი სამშობლოსადმი და ჩვენი საერთო სამშობლოს და განთავისუფლებული კაცობრიობის დიდი ბელადისადმი — იოსებ ბესარიონის ძე სტალინისადმი (ლექსს კითხულობს ქართულად*) ლექსის კითხვა, რომელიც არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ტაშით, თავდება ახალი ოვაციით ამხანაგ სტალინის პატივსაცემად „გაუმარჯოს მშობლიურ სტალინს! „ვაშა ჩვენს სტალინს"!).

*) ლექსი დაიბეჭდება „კომუნისტის" მომავალ ნომერში. რედ.

ამხ. რუხიმოვიჩის მისალმება

ტყიბული, ქვანახშირის ტრესტის დირექტორს ამხ. ხვედელიძეს.

მივესალმები მაღაროელებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს და ხელმძღვანელებს პირველი კვარტალის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილი სტახანოვური მოძრაობით უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევთ.

საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე:
რუხიმოვიჩი.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება

ა. ს. პუშკინის გარდაცვალების დღიდან 100 წლის იუბილეს მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. რუსეთის დიდი პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალების დღიდან 100 წ. იუბილეს მოწყობისათვის დაარსდეს რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ა. თათარიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. არუთინოვი, გ. სტურუა, მ. ტორომშელიძე, ... ნინოშვილი, გოგეშვილი, მირცხულავა, პ. შარია, ერ. გორდელაძე, ... ორაგველიძე, ნ. კეკელიძე, ... პ. ალხაზიშვილი, პროფ. დანელია, პროფ. ნუცუბიძე, პროფ. კეკელიძე, კ. გორდელაძე, შ. დადიანი, გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, ტ. ტაბიძე, პ. სხვიტარიძე, ს. ეული, შ. დადიანი, გ. [illegible] (შინაგან ...), ს. ჩანბა (აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირიდან), დ. დუმბაძე (აჭარის საბჭოთა მწერლების კავშირიდან), ჩ. ბეგიზოვი (სამხრეთ-ოსეთის საბჭ. მწ.-რ კავშ.), ა. ვასაძე, შ. თოიძე, დ. არაყიშვილი (კომპოზიტორი), ა. ენიკოლოპოვი (მწერალთა მუზეუმი), ს. რიჟოვანი.

2. დაევალოს კომიტეტს ორი კვირის ვადაში გამოიმუშაოს ღონისძიებანი ა. ს. პუშკინის სახელის უკვდავსაყოფად და მისი შემოქმედების ფართო პოპულარიზაციისათვის საქართველოს მშრომელთა შორის და ეს ღონისძიებანი წარმოუდგინოს საქართველოს ცაკის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. ქლენტი

1936 წ. მარტის 22, ტფილისი.

აბისინელების დიდი გამარჯვება ჩრდილოეთის ფრონტზე

[illegible]

მ ო ს კ ო ვ ი

რადიოგრამა „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან

...შოთა [illegible] ...ნიკოლაძე, მხატვარი თოიძე, მხატვარი ... ...რევოლუციის სახელოვან დღეებზე, რომელიც შენ მოაწყე და რომელსაც სათავეში ჩაუდექი შენ, ამხანაგო სტალინ (ტაში). ჩვენს ახალ...

...ლებ—შიშინაძე და სამხარაძე გრძელი საუბარი (ცნობილ გეოლოგთან პროფ. ალექსანდრე ჯანელიძესთან, რომელმაც მოიარა მთელი ჩვენი ქვეყანა და ღრმად შეისწავლა მისი წიაღი. პარტიული კომიტეტების...

მიხ. ჯავახიშვილი

ჩ ე მ ი შთაბეჭდილება

მე ერთგვარი ოფიციალობას მოველოდი, ნამდვილად კი შეხვედრამ ყველას გული აგვიჩუყა საკვირველი გულთბილი საზეიმო ხასიათით. აღტაცებულ შეძახილებს და მქუხარე ტაშს დასასრული არ უჩანდა. მე მოვიჩვენა, რომ ამას მოუნდა დიდ...

გ. ს. კოტელნიკოვის წერილი

ხაბაროვსკი, 21 მარტი. შორეულ-აღმოსავლეთის გაზეთებში გამოქვეყნებულია კონსტანტინოვკის და ... დაიკავა ჩემი მოკლული ძმისწულის ადგილი. რა თქმა უნდა, საჭირო მომენტში ასევე მოიქცევიან ჩვენი...

[illegible]

გ. ს. კოტელნიკოვი.

არავითარი ჩამორჩენა თესვის სამუშაოებში

ჩაის სამუშაოთა ხარისხი დავიწყებულია

მიმდინარე წელს ცხაკაიას რაიონი დროზე შეუდგა სამზადისს. დამუშავდა „კომუნისტის“ მოწინავე — „უტემონტოდ“. ამის შესაბამისად თითოეულ კოლმეურნეობამდე, კოლმეურნეობის თითოეულ წევრამდე დაყვანილი იქნა ლოზუნგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის სამუშაოთა დროულ და ხარისხობრივ შესრულებას.

პარტრაიკომმა ახლახან განიხილა საკითხი ჩაის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. ჩატარებულ სამუშაოთა ხარისხობრივად შესრულების შესამოწმებლად გამოჰყო სპეციალური კომისია. კომისიამ გამოაშკარავა მთელი რიგი უხეში შეცდომები ჩაის სამუშაოთა შესრულებაში. მაგალითად, ზოგიერთ კოლმეურნეობებს („გაერთიანება“, „ლენინის გზით“) გარდა იმისა, რომ დაუშვებელი გარღვევები აქვთ ნიადაგის მომზადებაში...

ნაკლოთა აღმოსაფხვრელად, მაგრამ ჩაის სამუშაოებში ჯერ კიდევ სერიოზული გარღვევების წინაშე ვდგევართ. ზოგიერთ კოლმეურნეობაში (სოფ. ხორში „გაერთიანება“ და ამხ. ორახელაშვილის სახ. კ-ბა). მსუბუქი გადაბარვა ჯერ დაწყებულიც არ არის. ჩაის თესვის გეგმა მხოლოდ 60 პროცენტით არის შესრულებული. პლანტაციებში სასუქი დღემდე არ შეუტანიათ და ამაზე არც ახლა ზრუნავს ვინმე. ხსენებულ კოლმეურნეობის მთელი რიგი პლანტაციები პირუტყვისაგან არ არის დაცული. საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ ხელმძღვანელობენ ამ კოლმეურნეობებს? შეუმოწმებელი ადამიანები: ციკო ჩიქოვანი (გამგეობის თავმჯდომარე) და მიხა ჩიქოვანი (ბრიგადირი)...

...არის საკმაოდ ჩატარებული დრენაჟი ნაცვლად 70 სანტიმეტრისა ჩატარებულია 50 სანტ. სილრმეზე. სოფ. ხორში სტალინის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში არავინ ზრუნავს პირუტყვისაგან პლანტაციების დაცვაზე.

მართალია, რაიონულმა ხელმძღვანელობამ მიიღო ზომები აღნიშნულ ...ტოლ ორგანიზაციებს, სოფსაბჭოებს და მტს-ს ჯერ კიდევ არ გამოუყვანიათ სერიოზული დასკვნა შარშანდელი გაკვეთილებიდან. შარშან კი, როგორც ცნობილია, რაიონმა მთელი წლის განმავლობაში უკანასკნელი ადგილი ეჭირა ჩაისათვის ბრძოლის ფრონტზე.

გრ. ღეღენავა

◇ ◇ ◇

ჩხოროწყუში სასუქს არ სცნობენ

ჩხოროწყუს რაიონმა წელს თითო ჰექტარზე გასული წლის 1200 კილოგრამი ჩაის ნაცვლად 1500 კილოგრამი მოსავალი უნდა მიიღოს. ამ ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასუქის დროზე დამზადებას და შეტანას პლანტაციებში. ამ სამუშაოების შესრულება კი რაიონში ძალზე ჩამორჩენილია.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რაიონმა 1930 ტონა ნაკელი უნდა დაამზადოს. ეს გეგმა 15 მარტისათვის მხოლოდ 55 პროცენტით იყო შესრულებული, ისიც ზოგიერთი კოლმეურნეობის ხარჯზე. რაიონის 7 სასოფლო საბჭოში, რომელიც 30 კოლმეურნეობას აერთიანებს, მუშაობა დაწყებულიც არ იყო.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს, როგორიცაა: „ლესურწყემე“ (თავმჯდომარე ესართია), „განათლება“ (თავმჯდომარე წურწუმია), „ლენინის დროშა“ (თავმჯდომარე ახალაია), „კომინტერნის სახ.“ (თავმჯდომარე ქვანია), და „ბოლშევიკი“ — 15 მარტისათვის არც ერთი ტონა ნაკელი არ ჰქონდათ დამზადებული.

— რა დროს ნაკელია, უნაკელოდაც კარგად იხეირებსო — ასე მსჯელობენ ამ კოლმეურნეობათა მესვეურები.

უარესი მდგომარეობაა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის მხრივ. პირველ კვარტალში ნაკელი უნდა შეტანილიყო 130 ჰექტარზე, 15 მარტისათვის ეს დავალება მხოლოდ 18 პროცენტით იყო შესრულებული.

მინერალური სასუქი შეტანილი იყო მხოლოდ 13,8 ჰექტარზე, ანუ გეგმის 4,1 პროც. მთელ რიგ სას. საბჭოებსა (ახუთის, ჭოლის, ნაფიჩხოვოს, ლესურწყემის და ნაკიანის) და კოლმეურნეობებში ამ მხრივ დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენენ.

ძალზე სუსტია ჩაის კანტორის (მმართველი ამხ. კვირკველია) აგრომომსახურება და ხელმძღვანელობაც. დრო არ ითმენს. საჭიროა არსებული მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორება. ჩაის სამუშაოებში თვითდინებას ბოლო უნდა მოეღოს.

შ. ზარანდია.

◇ ◇ ◇

თელავის რაიონმა დაამთავრა თესვა

თელავი, 22 მარტი. (ტელეფონით). თელავის რაიონმა საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა შეასრულა 20 მარტს. თესვა დამთავრდა 12 დღეში. იყალთოს კოლმეურნეობამ თესვა 5 დღეში დაამთავრა, ხოლო ახმეტის — 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობამ — 6 დღეში.

შემოდგომის ნათესები გადაიფარცხა 710 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებულ 200 ჰექტარის ნაცვლათ.

დავფარცხეთ მწრალად ნახნავი 1500 ჰექტარი.

აწეამად მახიურად ვაწარმოებთ ადრეულ საბოსტნე ხვნას.

თელავის რაიკომის მდივანი

ხ. კარსანიძე.

ჭარხლის თესვისათვის მზადებაში ხარვეზებია

(„კომუნისტის“ სპეცი ალური კორესპონდენტისაგან)

ხაშურის რაიონის კოლექტიურმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა შარშან შაქრის ჭარხლის თითო ჰექტარზე საშუალოდ 87 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. ასეთი დაბალი მოსავალი იმით იყო გამოწვეული, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა აგროწესების სწორად გატარებას, და რაც მთავარია, არ იყენებდნენ სასუქების ადგილობრივ რესურსებს.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წელს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი წარსული წლის ნაკლოთა გამოსწორებას. ჭარხლის თესვისა და მოსავლიანობის გადიდების გეგმები დროზე მისცეს კოლმეურნეობებსა და ცალკე საკოლმეურნეო ბრიგადებს. სასუქების შეგროვებისა და გამოყენების...

...ტრისა და სახკომსაბჭოს 31 იანვრის დადგენილებით წელს ხაშურის რაიონში 2.800 ჰექტარი ჭარხალი ითესება. მოსავლიანობა თითო ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერამდე უნდა გაიზარდოს. ნაცვლად შარშანდელი 87 ცენტნერისა ცალკე კოლმეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების მიმართ ეს დავალება უფრო დიდია. მაგალითად, სოფ. ხვედურეთის კოლმეურნეობაში შალვა ელბაქიძის რგოლმა იკისრა ვალდებულება — შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა გაადიდოს 600 ცენტნერამდე. სოფ. ქინძათის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ იკისრა 500 ცენტნერის მიღება. სოფ. ცხრამუხის კოლმეურნეობას, მიუხედავად იმისა, რომ ჭარხალს ურწყავ ფართობზე თესენ, გადაწყვეტილი აქვს მიიღოს სულ მცირე 300 ცენტნერი, ხოლო ამ კოლმეურნეობაში ვანო ბირკაძის ბრიგადამ უნდა მიიღოს 500 ცენტნერი.

ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის ზემოაღნიშნული კოლმეურნეობები გაცხოველებით მუშაობენ, გააჩნდათ ნაკელი, წესრიგში მოჰყავთ სარწყავი არხები, იმარაგებენ თოხებს.

მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ყველა კოლმეურნეობაზე. რაიონში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომელიც უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს. მაგალითად, სოფ. ხცისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ლობჟანიძე) ჯგუფები არ არიან მიმაგრებული ნაკვეთებზე. აქ ყველა ჯგუფსა და ბრიგადას მოსავლიანობის გადიდების ერთნაირი ნორმა აქვს მიცემული, მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი სხვადასხვანაირია. ამ კოლმეურნეობას საჭარხლე ფართობში 360 ტონა ნაკელი უნდა შეეტანა. თესვა 25 მარტიდან იწყება. ნაკელის შეტანის გეგმა კი 18 მარტისათვის 33 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ისიც უხარისხოდ. ნაკელი ნაცვლად იმისა, რომ შეეზვინათ...

207 ტონა ნაკელის წვენის ნაცვლად, შეგროვილია 18 ტონა. ფრინველის ნაკელი—140 ცენტნერის მაგივრად 21, ნაცარი — 210 ცენტნერის ნაცვლად 65 ცენტნერი. მოსავლიანობის გადიდების ნორმები ბრიგადებზე ფორმალურად არის განაწილებული. მაგალითად, მესამე ბრიგადის ვასო მურჯიკნელის რგოლი ნოყიერ საჭარხლე მიწებზეა მიმაგრებული, მიხა ქურდაძის ბრიგადა — შედარებით მწირზე, მიუხედავად ამისა მათ მოსავლის გადიდების გეგმა ერთნაირი აქვს მიცემული.

აქ რგოლის ხელმძღვანელები და კოლმეურნეები არ იცნობენ შრომის ანაზღაურების ახალ წესს. მათ არ იციან, რას მიიღებენ, თუ, მოსავლიანობის გეგმას გადაჭარბებით ...აქვთ ჭარხლის თესვისათვის მზადებაში, რაც უახლოეს დღეებში უნდა გამოსწორდეს.

ჭარხლის მასობრივი თესვა 25 მარტიდან იწყება. ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ რაიონმა დასახულ ვადებში და ხარისხიანად ჩაატაროს თესვა და ამით ნამდვილად უზრუნველყოს თითო ჰექტარზე არა ნაკლებ 200 ცენტნერი ჭარხლის მიღება.

...მდგომარეობაა სოფ. ...კოლმეურნეობაშიც. აქ 17 ...ს საჭარხლე ფართობში ...გადამწვარი ნაკელის მაგივრად, შეტანილი იყო 200 ტონა.

ტ. აღაპელი.

◇ ◇ ◇

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

გურჯაანის სატრაქტორო სკოლის კურსანტი კოლმეურნე ქალები პრაქტიკაზე

აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობა

საქართველოს ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში არ სწარმოება ხვეჭქვავის სწორი აღრიცხვა, ბრიგადებსა გაუპიროვნებაა, ...ლი ხლება კონტროლის გა...

რატომ? იმიტომ, რომ რაიონების მტს-ები და მიწგანების მიწსახკომიდან არ წარმოიდგენენ ანგარიშის ფორმები. ამ რაიონთა რიცხვს ეკუთვნის — ახალქალაქი, ბორჩალო, ბაშკიჩეთი, თიანეთი, სამტრედია, სიღნაღი, ალბოლო, ვანი, ყვარელი, ხიღნალი, ახაიძე, ცხაკაია და აგრეთვე აჭარის მიწსახკომი.

დასახელებული რაიონების მეცხოველეობის ფერმებში, ანგარიშგებების ფორმების უქონლობის გამო, აღრიცხვა ჩაშლილია, ბრიგადებს არა აქვთ სამუშაო განრიგები.

თიანეთის რაიმიწგანს მიწსახკომიდან მთლიანად არც შრომის წიგნაკები წაუღია. ახლა ამ რაიონების კოლმეურნეთა უმრავლეს ნაწილს ...არა აქვს პირადი ანგარიშები, არა აქვს შრომის წიგნაკები, შრომადღეები უბრალო ქაღალდებზე იწერება.

აღმაშფოთებელია ის, რომ ზოგიერთ რაიონში (წალკა, კასპი), კოლმეურნეობებში შეგროვდეს ანგარიშწარმოების ფორმების შესაძენი თანხა, მაგრამ ...სხვა დაანიშნულე...

ნეთუ აქ დასახელებული მიწგანების და მტს-ების ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობებში აღრიცხვის ჩაშლისათვის მათ პასუხს არავინ მოსთხოვს? ტყუილი იმედია!

საჭიროა ამ საქმეში პარტიის რაიონული კომიტეტების ჩარევა და გადაჭრილი ზომების მიღება იმისათვის, რათა კოლმეურნეობებმა უახლოეს დღეებში მიიღონ ანგარიშწარმოების ფორმები და ყველა მასალა, რაც საჭიროა შემოსავალ-გასავლის ნაღდი აღრიცხვისა და საწარმოო გეგმების უნაკლოდ შესრულებისათვის.

სტახანოვური დეკადა რკინიგზაზე

ა.-კ. რკინიგზაზე

საკავშირო სტახანოვურ დეკადაში ა.-კ. რკინიგზა მოწინავეთა რიგებში იკავებს ადგილს. დეკადის პირველ დღეს გზა საკავშირო მასშტაბით მეცხრე ადგილზე იყო, ხოლო მეექვსე დღეს — 20 მარტს მეორე ადგილზე გადავიდა.

21 მარტს გზამ დატვირთა 1584 ვაგონი და 1018 ცისტერნი, დღიური გეგმა 118,2 პროცენტით შესრულდა.

პირველმა განყოფილებამ (უფროსი გ. ცომაია) ვერ შეინარჩუნა დეკადის პირველი დღის მიღწევები. 21 მარტს განყოფილებამ 560 ვაგონის ნაცვლად 470 ვაგონი დატვირთა, — გეგმა 80 პროცენტით შეასრულა. ეს მაშინ, როცა პარკში 12 პროცენტით ნორმაზე მეტი ვაგონი... ...არ სრულდება ვაგონთა ...ბრუნვის ნორმა. განყოფილებამ ...სასწრაფოდ ...

წინა მეორე განყოფილება (უფროსი გრ. კიკნაძე), რომელმაც 183-ის ნაცვლად 394 ვაგონი დატვირთა. სატვირთო ვაგონების მიმოქცევა 1.82 დღელამის ნაცვლად 1,34 დღელამემდე დაიყვანა. ასეთივე მიღწევები აქვს გეგმის სხვა მაჩვენებლების მხრივაც.

ტფილისის დეპოს კრივონოსელმა მემანქანემ ამხ. ახობაძემ მეორე განყოფილების დისპეჩერ გ. რიჟიშვილის ხელმძღვანელობით შესძლო ტფილისიდან ხაშურში სატვირთო მატარებელ № 762-ის ერთი საათით და 23 წუთით ადრე ჩაყვანა.

სტახანოვური დეკადა ტფილისის საწარმოებში

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა

ქარხნის კოლექტივმა 13 მარტიდან სტახანოვური დეკადის მეოთხე ...

...(78 საათის სამუშაო შესრულდა 32 საათში), სახარატომ—147-ით, ხის დამმუშავებელმა—226-ით, (257 საათის სამუშაო შესრულდა 114 საათში). 14 მარტს ქარხანამ გეგმა 169 პროცენტით შეასრულა. 15 მარტს—162,5-ით.

...სამუშაო შესრულდა 13 საათში), ჭიობებისამ—205-ით, (86 საათის სამუშაო შესრულდა 35 საათში).

13 მარტს მთლიანად ქარხანაში გეგმა 171 პროცენტით შესრულდა.

14 მარტს ჩამომსხმელმა საამქრომ გეგმა 243 პროცენტით შეასრულა...

17-ს—188-ით, 19-ს—თუნუქის საამქრომ—168-ით, ხის დამმუშავებელმა 113-ით.

20 მარტს ქლიბების საამქრომ დავალება შეასრულა 198 პროცენტით, ხის დამმუშავებელმა—144-ით, თუნუქისამ 168-ით.

21 მარტს წინ მიდიოდა ქლიბების და ხის დამმუშავებელი საამქრო. პირველმა გეგმა შეასრულა 201,2 პროცენტით, მეორემ — 207-ით.

დეკადის პირველი დღეები კარგ სურათს იძლევა. ეს შედეგია სტახანოვური მოძრაობისადმი იმ სერიოზული ყურადღებისა, რომელსაც ქარხანაში აქცევენ.

კალინინის სახელობის ქარხანა

კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა დეკადის პირველ დღეებში. 16 მარტს საქარხნო გეგმა შესრულდა 160,2 პროცენტით, 17-ს —168,1-ით, 19-ს—160,9-ით, 20-ს—167,1-ით. წინ მიდის მექანიკური საამქრო, რომელმაც 16 მარტს გეგმა შეასრულა 218 პროცენტით, 17-ს —224,2-ით, 19-ს—210,5-ით, 20-ს—252,4-ით. კარგ მაჩვენებლებს იძლევა აგრეთვე საწოლების საამქრო. საწოლების საამქრომ დეკადის მეოთხე დღეს—19 მარტს—დღიური გეგმა შეასრულა 159,5 პროცენტით, 20 მარტს — 157,5-ით.

21 მარტს მთლიანად ქარხანამ გეგმა შეასრულა 167,3 პროცენტით, მექანიკურმა საამქრომ—257-1-ით, თუჯის ჩამომსხმელმა—159-ით, საწოლებისამ—167,5-ით, ელექტრო-სამონტაჟომ—100-ით, ლურსმნისამ — 153,1 პროცენტით.

ავტოსარემონტო ქარხანა № 8

სტახანოვური დეკადის მესამე დღეს—17 მარტს—ქარხანამ დღიური დავალება შეასრულა 128 პროცენტით. სამონტაჟო საამქროს სტახანოველმა ამხ. კობზიანიძემ 17 მარტს გეგმა შეასრულა 338 პროცენტით, ...მა—336-ით. ქარხნის სა...რადიატორო განყოფილებამ დღიური გეგმა შეასრულა 143 პროც. სარეცხლავერო დაზგაზე მომუშავე სტახანოველმა ქალმა ამხ. ხრულნიკოვამ დღიური დავალება შეასრულა 286 პროც., ხარატმა ატინიანმა — 261-ით.

◇ ◇

სტახანოვური ნელი სტახანოვურად მუშაობა!

ცხაკაიას რაიონის მოწინავე სასოფლო საბჭოების მიმართვა საქართველოს სასოფლო საბჭოებს

ორდენოსანმა საქართველომ 1935 წლის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. ამაში ცხაკაიას რაიონის სასოფლო საბჭოებს თავისი სასახელო წვლილი უდევთ. 1935 წლის მეცხოველეობის განვითარების რაიონული გეგმები წარმატებით და გადაჭარბებით შევასრულეთ. ამავე დროს ცხაკაიას რაიონის საბჭოებმა კარგად შეასრულეს სასკოლო მშენებლობის ქვეთილმოწყობის. საგზაო მშენებლობის და სხვა გეგმები. ამ მიღწევების, კერძოდ კი მეცხოველეობის დარგში წარმატებებისათვის ჩვენი რაიონი წარდგენილია საკავშირო ცაკის ჯილდოზე...

15-20 პროც. გადაჭარბებით. მთლიანად გავატარებთ დაწესებულ აგროღონისძიებებს. ჩაის ნაზი ფოთლის კრეფის საქმეში ფართოდ დავრაზმავთ კოლმეურნეებს, ფართოდ გავშლით სტახანოვური მეთოდებით მუშაობას და კრეფის გეგმას შევასრულებთ 10-15 პროც. და მეტი გადაჭარბებით.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვა ჩავატაროთ „ფრიადზე“. დავიჭიროთ გამოცდა ნიშანზე — „თესვის სტახანოვური რაიონი“.

მეცხოველეობის 1936 წ. სახელმწიფო გეგმას 1937 წ. 1 იანვრისათვის შევასრულებთ...

გრ. ადამია

საქ. კ.პ. (ბ) ხონის რაიკომის პ.-მასობრივი ინსტრუქტორი

ზოგიერთი მომენტი ჩემი მუშაობიდან

ამ რამდენიმე ხნის წინათ მთელ ...რჩენილი. ახლა ზონაში ყველა კომუნისტი და თანამგრძნობი ...

ბი, გამოიწერა ჟურნალი „ბოლშევიკი“ და „პარტიული მშენებლობა“; კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის კრებაზე მოეწყო პარტიის ძველი წევრის ამხ. ევპარაძის გამოსვლა მოგონებით და სხვ.—ყველა ეს დავალება პირნათლად შეასრულა.

პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგად პირველადს პარ...

...ბი სუსტად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. მაგ. ნინა ნინუა არ ესწრებოდა ღია პარტიულ კრებებს. არ იყო ჩაბმული პოლიტსწავლებაში, არ ჰქონდა გამოწერილი გაზეთი. პირადად ვესაუბრე ნინუას და დავარწმუნე, რომ მისი მოქმედება შეუთავსებელი იყო თანამგრძნობთა რიგებში ყოფნასთან...

...სოფლის ამაღლებას. თუ წინათ ჟურნალ-გაზეთებს 64 კომუნისტიდან მხოლოდ 14 იწერდა, ამჟამად ზონაში არ არის დარჩენილი არცერთი კომუნისტი და თანამგრძნობი რომელსაც არ ჰქონდეს გამოწერილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. ისინი ახლა სერიოზულად მუშაობენ საკუთარ თავზე...

ამ. ვინ სდევნის სტახანოველებს

ვინ ცდილობს სტახანოველების დევნა - შევიწროვებას? მხოლოდ კლასობრივი მტრები, მათი აგენტები, რომლებიც ჯერ კიდევ ძვრებიან ჩვენს ქვეყანაში.

სამწუხაროდ, სტახანოველების მტერს, ზოგჯერ პარტბილეთიც აქვს ჯიბეში. ამას ადასტურებს ტფილისის უნივერმაღში მომხდარი ამბავი: საქმე ის არის, რომ პარტიის წევრი საშა ეჯოშვილი, (შემდეგში ის ამხილეს და პარტიის რიგებიდან გაიძევეს) სისტემატიურად სდევნიდა ამ მაღაზიის სტახანოველებს.

საქმე აკე დაიწყო.

უნივერმაღის მთავარი ინსპექტორი საშა ეჯოშვილი სისტემატიურად ეზიდებოდა საქონელს, კავშირი ჰქონდა სპეკულანტებთან, საწყობებში აწარმოებდა ერთდაიგივე საქონლის რამდენჯერმე ჩამოწერას.

მაღაზიის სტახანოველებმა ეს მდგომარეობა მაშინვე აღნიშნეს. სატრიკოტაჟო სექციის მომუშავეებმა ნადირაშვილმა და სიხოევმა ამის შესახებ ცნობა მაღაზიის პარტიულ კომიტეტში წარადგინეს.

როცა სტახანოველებმა ეჯოშვილის საქციელი გამოაშკარავეს, ნითელქვეყვე თავის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება — თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ქონების მტაცებლობა, — ეჯოშვილმა მათ დევნა დაიწყო.

ეჯოშვილმა 11 თებერვალს, უნივერმაღის საერთო კრებაზე, მაღაზიის საუკეთესო სტახანოველები ცრუ სტახანოველებად მოხათლა, მათ შეურაცყოფა მიაყენა, სტახანოველ ქალს ჟურავლიოვას დაემუქრა სამუშაოდან მოხსნით, სიხოევს საქონლის ქურდობა დასწამა. იგი შეეცადა ყალბი ჩეკებით გაეტანა მაღაზიიდან საქონელი, რათა დაბლის პატიოსანი მუშაკები მაზეში გაება. აგრეთვე ეჯოშვილმა სპეკულანტების ნაცვლად დააპატიმრა სტახანოველი კონსტანდოვი.

ეჯოშვილის ასეთმა საქციელმა უნივერმაღში სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განვითარება შეაფერხა. თებერვლის თვეში 120 მომუშავიდან მხოლოდ 6 სტახანოველი გამოვლინდა, მათაც არ სურდათ სტახანოველის სახელწოდების მიღება, რადგან ძილმა სტახანოველებმაც უნივერმაღის პარტკომსა და დირექციაში შეიტანეს განცხადებები და სამუშაოდან განთავისუფლება მოითხოვეს.

უნივერმაღის პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება. შეამოწმა და დაადასტურა ეჯოშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი.

ამ საფუძველზე უნივერმაღის პარტიულმა ორგან-ზაციამ ეჯოშვილი პარტიის რიგებიდან გააძევა.

საჭიროა ეჯოშვილის საქმეში პროკურატურა ჩაერიოს.

კ. მავზარაშვილი
შ. ჯიქია

ჩვენ გვწერენ

კომუნალური გან- ყოფილებამ არ იცის

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით წალენჯიხის რაიონს მიეცა ხმოვანი კინო. კინო-თეატრს დაეთმო რაიკოოპკავშირის შენობა. დარბაზი 250 მაყურებელს იტევს. ამ შენობას შეკეთება სჭირდებოდა. პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით ეს სამუშაო კომუნალურ განყოფილებას ჯერ კიდევ დეკემბერში უნდა შეესრულებინა. მაგრამ კომუნალურმა განყოფილებამ ამ საქმის გაკეთება არ იცის. კინო-თეატრში სურათების გაშვება ვერ ხერხდება, რადგანაც დარბაზში ცივა და მაყურებლები ვერ იცდიან.

საჭიროა რაიკომმა და რაიაღმასკომმა აიძულონ კომუნალური განყოფილება, მალე შეკეთოს კინოთეატრის შენობა.

ვალ. ზარქუა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ „საკოლმეურნეო ქონება ნიავდება“

1935 წლის 10 დეკემბერს მივიღეთ წერილი სათაურით: „საკოლმეურნეო ქონება ნიავდება“, რომ-...

მოწინავე საკოლმეურნეო ბაზარი

საკოლმეურნეო წარმოების გაძლიერებამ, ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კულტურული კეთილდღეობის ამაღლებამ და შრომადღეზე მიღებული ნატურალური და ფულად შემოსავლის ზრდამ გამოიწვია საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარება.

საკავშირო ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1932 წლის მაისის დადგენილებით საკოლმეურნეო ბაზრის შემოსავალი საბაზრო კომიტეტის განკარგულებაში რჩება. ეს თანხა უნდა მოხმარდეს საკოლმეურნეო ბაზრის კეთილმოწყობას — სავაჭრო ფარდულების, დახლების და საწყობების შეკეთება-მოწყობას.

ამ მხრივ ცხაკაიას რაიონის ბაზარკომს საინტერესო მიღწევები აქვს. კომიტეტმა 1935 წლის ბაზრის შემოსავალი 80.000 მანეთით რაოდენობით განსაზღვრა. წლის ბოლოს ეს ციფრი შესრულებულ იქნა 125.000 მანეთამდე, რაც გეგმის 145%-ს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის იმის გამო, რომ 1934 წელთან შედარებით 1935 წლის საბაზრო გადასახადი შედარებით უფრო მცირე იყო.

საქ. შინავაჭრობის სახკომისარიატის მიერ მოცემული გეგმით საკოლმეურნეო ბაზარზე უნდა შემოეტანათ 6.092.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. 1935 წ. აპრილიდან 1936 წლის 1 იანვრამდე შემოტანილია 6.798.366 მანეთის პროდუქცია, ანუ გეგმის 105 პროც. აქედან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 554.455 მანეთის, წვრილფეხა — 700.500 მანეთის, დანარჩენი სას.-სამეურნეო პროდუქცია 5.543.411 მანეთისა.

კომიტეტმა ბაზრის კეთილმოწყობისათვის დახარჯა 80.400 მანეთი, მოაწყო 7 ფარდული, (352 მეტრის სიგრძეზე). შემოღობა ბაზრის მოედანი, გააკეთა ქვაფენილი 5100 კვ. მეტრზე, მოაწყო სავაჭრო ფარდულები სამრეწველო და სასურსათო საქონლისათვის. გამოჰყო შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები სავაჭრო ფარდულები და ხანმოკლე კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მშრომელი გლეხობისათვის.

ბაზრის მოედნის გაფართოების მიზნით გადატანილ იქნა 2 სახლი. ამ კოლმეურნეებისათვის, რომელნიც ყველით და რძის სხვა პროდუქტებით ვაჭრობენ, შეძენილია თეთრი ხალათები. მოწყობილია ხორცის და რძის საკონტროლო სადგურები.

კოლმეურნეთა კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის მოწყობილია სასადილოები, სასტუმრო, იურიდიული რჩევა-დარიგება კუთხე და რადიო.

გასულ წელს ბაზარზე 10—დღიანი საზეიმო ბაზრობა. გეგმით უნდა გაეყიდათ 300.000 მანეთის პროდუქცია. გეგმა შესრულდა 110 პროცენტით. ამ ბაზრობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი სოფლის, მუშიშვილის სახელობისა ...

სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის გავლენა საკოლმეურნეო ბაზარზე ძალიან სუსტია, სახელმწიფო ვაჭრობას აქვს 2 სავაჭრო წერტი რომელიც ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ბაზრის კომიტეტი სპეკულაცია —გადამყიდველობის წინააღმდეგ სუსტად და დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს. 1935 წლის განმავლობაში გადამყიდველებს ჩამოერთვა და კოოპერაციას გადაეცა 6.000 მანეთის სამრეწველო და სხვა საქონელი. რეგისტრაციაში გატარებულია 200-მდე სპეკულანტი.

შედგენილია 1936 წლის სამუშაო გეგმა და დაგეგმილია ბაზრის თვითეულ მონაკვეთზე ...

საჭიროა სავაჭრომ და კოოპერაციამ ბაზრობის დღეებში გაშალონ შემხვედრი ვაჭრობა. უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს სპეკულაციასთან ბრძოლა. რისთვის საქ. საჭიროა მილიციის, პროკურატურის ორგანოს. შინვაჭრობის და კოოპერაციის უფრო ფხიზელი თვალი.

უნდა გაუმჯობესდეს ჩამოსულ კოლმეურნეთათვის იურიდიული რჩევა-დარიგება, ბინები, გამზადდეს პირუტყვისათვის თავლა.

ხ. თურქია.

ახალი სასტუმრო სატრანზიტო მგზავრებისათვის

ტფილისის ვაგზლის მოედანზე, რკინისგზელთა ქუჩის კუთხეში აშენებული ... ტფილისის სადგურის ახალი სასტუმრო „კოლხიდა“. სასტუმროს აქვს 53 ოთახი. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ— საშუალო ტიპის ნომრის ერთ-ერთი კუთხე; ორსართულიანი „ლიუქსის“ ბინის კუთხე, რომელიც შესდგება 3 ოთახისაგან; მე-3 სართულის დერეფანი.

ფოტო რ. აკოფოვისა

სესხისმქონეთა და მე ნაბარეთა დღე

27 სტახანოველმა 3.770 მანეთის მოგება მიიღო.

ელსადგურები სოფლად

მიმდინარე წელს დამთავრდება ბაშკირეთის და რიცეულის ორი დიდი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ბაშკირეთის ელსადგური 6000 ...

ქართული საბავშვო ლიტერატურა

სახლები სტახანოველებისათვის

სპილენძის და ტყვიის კიდევ

სტალინის სახელობის ტფილისის ორთქლმავლების სარემონტო ქარხნის და ბერიას სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები გამოსასვლელ დღეებში ისვენებენ კლუბში და მართავენ ცეკვას. სურათზე: ქარხნის მუშათა ცეკვა.

ფოტო ბუდიშტკინისა

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი საერთაშორისო სათეატრო ფესტივალზე.

რუსთაველის თეატრი, საბჭოთა კავშირის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წინადადებით, მიმდინარე წლის ... მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სათეატრო ფესტივალში. ფესტივალი გაიმართება მოსკოვსა და ლენინგრადში. რუსთაველის თეატრის სპექტაკლები გაიმართება მოსკოვში.

თეატრი წაიღებს თავისი სეზონის ახალ დადგმებს: ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებს“ (რეჟ. ა. ...) და ხ. შანშიაშვილის „არსენას“ (რეჟ. ა. ვახაძე).

რუსთაველის თეატრის მიწვევა მოსკოვში.

საქ. არქიტექტორების კავშირში

ლომბი მრავლდებიან

ხორცის ვაჭრობის ახალი წესები

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებანი

კოლმეურნეობებზე მიწების მი ... გათა კონფისკაციის შესახებ

შემთხვევები

ქრონიკა

პარტკომის ...

ქართულ სახელმწიფო თეატრი	23 მარტს დარბაზი № 118	შამილი
	24 მარტს დარბაზი № 119	ჩაჭეხილი ხიდი
	ბილეთები თეატრის სალაროში 12—2 6—9 ს.	
	ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან	დასაწყისი 7 ს. 30 წ.

კინო-თეატრები		
ოქტომბერი 6 30, 8 30, 11.	ახალი ხმოვანი ფილმი კონცერტი რიცხ	კვარტეტი
დავაჭრელი 6 30, 8 30, 10-30		ცხარე დღეები
... ლიუქსემბურგის სახ. 6 30, 8 30, 10-30		მხიარული ახალგაზრდობა
...-ის კომუნ. სახ. 6 30, 8 30, 10-30		უჩინარი ადამიანი
... ახალი ამბები		გაუგონარი ლაშქრობა, კვ. ჟურნ. № 6.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი

დამატებით თავის განცხადებები საბჭოთა რეგისტრაციის შესახებ (გაზ. „კომუნისტი“ 17 თებერვალი № 39 (4218) და გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 41 (3726) აცხადებს, რომ ... ვალდებული არიან, ... მოახდინონ პუბლიკაცია რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

პუბლიკაცია უნდა მოახდინონ ყველა რეგისტრირებულმა საწარმოებმა ... რეგისტრაციაში.

პუბლიკაციაში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი ცნობები:

1. რეგისტრირებული საწარმოს სახელწოდება.
2. ორგანო, რომლის გამგებლობაშიაც ის იმყოფება.
3. გამგეობის ადგილმდებარეობა.
4. ფინორგანო, რომელმაც სარეგისტრაციაში გაატარა საწარმო.
5. ნომერი რეესტრით.

ფედერაციული მნიშვნელობის საწარმოები პუბლიკაციას ახდენენ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“.

რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოები ვალდებული არიან მოახდინონ პუბლიკაცია როგორც გაზეთ „კომუნისტში“ ისე „ზარია ვოსტოკაში“.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, რესპუბლიკური და ოლქის მნიშვნელობის საწარმოები პუბლიკაციას ახდენენ ადგილობრივ ... და გაზეთ „კომუნისტში“.

... საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი ...

87

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს

... ფ. ხ. უ. გამგეობა.

85

გულმოკლულნი მშობლები: გრიშა და საშა (ფიმე) ... ნათესავებს, რომ 24 მარტს 2 საათზე ... დანიშნულია სა... მოქ. პანაშვიდი

ნათელა გრიშას—ასული შავდიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 13507

საქ. ... უნივერსიტეტის ... ფაკულტეტის ... ჯგუფის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით იუწყება ძვირფასი ამხანაგის ამავე ჯგუფის სტუდენტის

ვახტანგ გოგიჩაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ... 13497

... ინდუსტრიული ინსტიტუტის ... ფაკულტეტის № 86 და № 87 ჯგუფების სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ჯგუფის სტუდენტის ... დედის

მაშა, დურმიშიძის

გარდაცვალების გამო. 13504

... 1 სამრეწველო ტექნიკუმის დირექცია და მასწავლებლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ტექნიკუმის მესამე კურსის მესამე ჯგუფის მსმენელის

უთერ ქანდაშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 13529.

... 13528.

... შალამბერიძის

გარდაცვალების. დასაფლავება სოფ. ნიქოლაქვერში (... რაიონი), 26 მარტს. 13527.

... ზარდიაშვილების

... შაშიაშვილის